# წ ე ს დ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირი

# "საქართველოს სახელოსნო სპორტის ეროვნული ფედერაცია"

(ახალი რედაქცია)

თბილისი
2013

## 1. ზოგადი დებულებები

1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაცია" რეგისტრირებულია 24/09/2007 წ., ს.კ. 205223168.

1.2. ფედერაცია არის საერთაშორისო კავშირების წევრი.

1.3. ფედერაცია თავის მოღვაწეობას ეწევა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან მჭიდრო კავშირში.

1.4. ფედერაცია მოღვაწეობს, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

## 2. სახელწოდება, მისამართები და მოქმედების ვადა

2.1. ორგანიზაციის სახელწოდებაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაცია".

2.2. ფედერაციის იურიდიული მისამართია:

- საქართველო, თბილისი, ატენის 20, ბინა №56.

2.3. ფედერაციის ელექტრონული მისამართია:

- bakar@horsesport.ge

2.4. ფედერაცია იქმნება უვადოდ.

## 3. იურიდიული სტატუსი

3.1. ფედერაცია არის საქართველოს კანონმდებლობით შექმნილი იურიდიული პირი და საქმიანობს საქართველოს კანონმდებლობისა და დამფუძნებელი დოკუმენტების შესაბამისად.

3.2. ფედერაციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, საბანკო ანგარიში და კანონით გათვალისწინებული სხვა რეკვიზიტები.

3.3. ფედერაცია დამოუკიდებლად განაგებს თავის ქონებას, ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებით, საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, გამოდის მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში ან/და არბიტრაჟში.

## 4. ფედერაციის მიზნები და ამოცანები

4.1. ფედერაციის მიზნებია:

- საქართველოში საცხენოსნო სპორტის განვითარება, ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლის ამაღლება, პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარება, ჯანმრთელობის განმტკიცება და ცხოვრების ჯანსაღი წესის ფორმირება;
- მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადების სისტემის სრულყოფა, საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა: ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატებში, საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში;
- მოსახლეობაში საცხენოსნო სპორტის პროპაგანდა და პოპულარიზაცია;
- საერთაშორისო საცხენოსნო სპორტის ფედერაციის წევრობა;
- ფედერაციის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება;
- შექმნას ეროვნული ნაკრები, უზრუნველყოს მათი მზადყოფნა და მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში;
- რესპუბლიკური მაშტაბის შეჯიბრებების მომზადება და ჩატარება;
- სპორტული კლუბების შექმნაში დახმარების გაწევა;

- კომპეტენციის ფარგლებში სპეციალისტთა შერჩევა, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- სპორტში დასაქმებული სპორტსმენების, მწვრთნელების, ვეტერანებისა და სხვა სპეციალისტების სოციალური უფლებების დაცვა;

4.2. ფედერაცია ახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობის აღმავლობას და განვითარებას.

5. ფედერაციის დამფუძნებლები

5.1. ფედერაციის დამფუძნებლები არიან:

- ლაშა ჯაიანი.
დაბადებული: 22.11.1966 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ატენის ქ. 20, ბ. 56.
პირადი № 01008017004.
- ზაზა ჩიტრეკაშვილი.
დაბადებული: 04.02.1979 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ფანასკერტელის ქ. კორპ. 6, ბ. 52.
პირადი № 01026002285.
- გელა ტატანაშვილი.
დაბადებული: 07.04.1965 კასპი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვარკეთილის მას. VI კვარტ. კორპ. 13, ბ. 1.
პირადი № 01027013753.

6. ფედერაციის წევრობა

6.1. ფედერაციის წევრებად მიღებას ახდენს პრეზიდიუმი, წერილობითი განცხადების საფუძველზე. წევრად მიღების საკითხი განიხილება პრეზიდიუმის მიერ განცხადების მიღებიდან 3 თვის ვადაში.
6.2. ფედერაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, საცხენოსნო სპორტული კლუბი, რომელიც აღიარებს წინამდებარე წესდებას, იზიარებს ფედერაციის დეკლარირებულ მიზნებს და მონაწილეობას მიიღებს ფედერაციის საქმიანობაში.
6.3. ფედერაციის წევრობის გადაცემა სხვა პირისათვის არ დაიშვება.
6.4. საქართველოს ან უცხოეთის ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საცხენოსნო სპორტის განვითარების საქმეში, შეიძლება მიღებული იქნეს ფედერაციის საპატიო წევრად.
6.5. ფედერაციის საპატიო წევრზე არ ვრცელდება ფედერაციის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.

7. ფედერაციის წევრების უფლებები და მოვალეობები

7.1. ფედერაციის წევრს უფლება აქვს:
ა. დელეგატად არჩევის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს საერთო კრების მუშაობაში;
ბ. მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და არჩეული იქნას ფედერაციის პრეზიდიუმსა და კომისიებში.
გ. მონაწილეობდეს ფედერაციის პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებასა და განხილვაში, კვალიფიკაციისა და შესაძლებლობის შესაბამისად.
7.2. ყოველ წევრს უფლება აქვს გავიდეს ფედერაციიდან, რისთვისაც წერილობით უნდა აცნობოს პრეზიდიუმს ერთი თვით ადრე. თუ წევრი საპატიო მიზეზით გადის ფედერაციიდან, მაშინ მასზე არ ვრცელდება დაწესებული ვადა.

7.3. ფედერაციის წევრი შეიძლება გარიცხული იქნეს ფედერაციის წევრობიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფედერაციის მიზნებსა და ლახავს ფედერაციის რეპუტაციას, აგრეთვე ქვემოთ მითითებული შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

ა. ფედერაციის ინტერესების უხეშად დარღვევის შემთხვევაში;

ბ. პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესით საწევრო შენატანის გადაუხდელობის შემთხვევაში;

გ. კანონითა და წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.4. ფედერაციის წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფედერაციის პრეზიდიუმი. გარიცხულ წევრს უფლება აქვს გარიცხვა გაასაჩივროს სასამართლოში.

7.5. ფედერაციის წევრი მოვალეა:

ა. შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს ფედერაციის საქმიანობაში;

ბ. გაუფრთხილდეს ფედერაციის ღირსებასა და ავტორიტეტს;

გ. გაუფრთხილდეს ფედერაციის ქონებას;

დ. შეუწყოს ხელი ფედერაციის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას;

ე. გადაიხადოს საწევრო შესატანი პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესის თანახმად.

## 8. საწევრო შესატანი

8.1. საწევრო შესატანი გამოიყენება ფედერაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

8.2. საწევრო შესატანის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ.

## 9. ფედერაციის უფლებები

9.1. ფედერაციას კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს:

- აწარმოოს საწვრთნელი საქმიანობა;
- დამოუკიდებლად შეიმუშავოს და დაამტკიცოს თავისი საქმიანობის გეგმები და პროგრამები;
- ხელშეკრულების საფუძველზე მიიღოს სამსახურში და მოიწვიოს საქართველოს ან საზღვარგარეთის მოქალაქეები.
- დაიცვას ფედერაციის წევრების კანონიერი ინტერესები და უფლებები სასამართლოში,
- განახორციელოს საინფორმაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკონომიკური, საგამომცემლო და სხვა საქმიანობა, რაც არ ეწინააღმდეგება ფედერაციის წესდებასა და მოქმედ კანონმდებლობას.
- ჰქონდეს საკუთრებაში ან სხვა სახით შენობები, ტრანსპორტი, ფასიანი ქაღალდები, ფულადი სახსრები და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია ფედერაციის საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის.
- დადოს ნებისმიერი გარიგება, რომელიც მიმართული იქნება მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ან ქონებრივ უფლებებზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.
- მოიძიოს გრანტები და სახელობითი პრემიები ფედერაციის საწესდებო მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.
- დაადგინოს ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოები და საშტატო განრიგი, გადაწყვიტოს მათი დაქირავებისა და განთავისუფლების, აგრეთვე შრომის ანაზღაურების, მატერიალური წახალისების ან სხვა შემოსავლების ფორმირებისა და მოცულობის განსაზღვრის საკითხები.
- შექმნას სპორტული ჯგუფები, კლუბები, ფილიალები და წარმომადგენლობები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

- შეიმუშაოს და პრაქტიკულად განახორციელოს საქართველოში საცხენოსნო სპორტის განვითარების პროგრამა. შექმნას ეროვნული ნაკრები გუნდები, უზრუნველყოს მათი მზადება და მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში,
- ჩაატაროს საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული და საერთაშორისო ტურნირები, ჩემპიონატები, ფესტივალები, საატესტაციო-სასწავლო სემინარები, გასცეს სათანადო სერთიფიკატები.
- ჩაატაროს სპორტსმენთა საკვალიფიკაციო გამოცდები.
- მიანიჭოს საქართველოს მსაჯებს ეროვნული კატეგორია.
- საქართველოს სპორტის დეპარტამენტთან, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვროს მათ მიერ გამოყოფილი სახსრების ხარჯვის გეგმა.

9.2. ფედერაციას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით; მათ შორის, სამეწარმეო საქმიანობა კანონით დადგენილ ფარგლებში.

## 10. ფედერაციის ორგანოები

10.1. ფედერაციის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება. ფედერაციია აღმასრულებელი ორგანოა - პრეზიდიუმი. აგრეთვე ფედერაციის ორგანოებია: ფედერაციის კომისიები, მწვრთნელთა საბჭო, მსაჯთა კოლეგია.

## 11. ფედერაციის წევრთა საერთო კრება

11.1. ფედერაციის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება.

11.2. საანგარიშო-საანგარიშო წევრთა საერთო კრება მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ, ოლიმპიური ციკლის დამთავრებისას, გასული ოლიმპიური ციკლის ანგარიშისა და ბალანსის, მომავალი ოლიმპიური ციკლის ხარჯთაღრიცხვის და მოქმედების გეგმის დასამტკიცებლად.

11.2.1. რიგგარეშე კრება მოიწვევა ფედერაციის წევრთა 1/3-ის ან პრეზიდიუმის წევრთა 2/3-ის წერილობითი მოთხოვნით.

11.3. კრებას უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება წევრთა საერთო კრებაზე მოწვეულ დელეგატთა უბრალო უმრავლესობა.

11.4. იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრება აღმოჩნდება გადაწყვეტილებაუუნარო, იგი მოიწვევა განმეორებით შვიდი დღის შემდეგ იმავე დღის წესრიგით და აღნიშვნით, რომ კრება განმეორებითია. განმეორებით მოწვეული საერთო კრება გადაწყვეტილებაუუნარიანია მაშინაც, თუ არ გამოცხადდება ქვოტით დადგენილი დელეგატთა უმრავლესობა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დამსწრეთა ოდენობა არ უნდა იყოს ქვოტით დადგენილი დელეგატთა საერთო ოდენობის ერთი მეხუთედზე ნაკლები.

11.5. წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ფარული ან ღია კენჭისყრით.

11.6. წევრთა საერთო კრებს ჩატარების დროს დგება ოქმი, რომელშიც მიეთითება ჩატარების ადგილი, დრო, დამსწრეთა რაოდენობა, დღის წესრიგი, განხილული საკითხების არსებითი შინაარსი და გადაწყვეტილებები.

11.7. წევრთა საერთო კრების კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხები:
- ფედერაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.
- ფედერაციის წესდების მიღება და მასში ცვლილებების შეტანა.
- ფედერაციის პრეზიდიუმის არჩევა და გადარჩევა, პრეზიდიუმის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა.
- ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა და გადარჩევა.
- ფედერაციის კომისიების არჩევა და მათი მუშაობის შედეგების განხილვა და დამტკიცება.
- ფედერაციის პროგრამების დამტკიცება.
- ფედერაციის წლიური ბიუჯეტისა და გასული წლის ანგარიშის დამტკიცება.
- გადაწყვეტილების მიღება ფედერაციის რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ.

12. პრეზიდიუმი

12.1. ფედერაციის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს პრეზიდიუმი, რომელიც წევრთა საერთო კრების მიერ აირჩევა 4 წლის ვადით. პრეზიდიუმი ხელმძღვანელობს ფედერაციის მიმდინარე საქმიანობას.

12.2. პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

12.3. პრეზიდიუმი გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

12.4. პრეზიდიუმი კომპეტენციაში შედის:

- ფედერაციის საერთო ადმინისტრაციულ-ტექნიკური და ოპერატიული ხელმძღვანელობა;
- ფედერაციის წევრების მიღება;
- გადაწყვეტილების მიღება ფედერაციის წევრის გარიცხვაზე;
- ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით ფედერაციის პრეზიდენტის და გენერალური მდივნის დანიშვნა;
- ფედერაციის მმართველი ორგანოების წევრთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრა;
- სპორტული კლუბების და ფილიალების შეუქმნა და გაუქმება;
- საწევრო შენატანის ოდენობის განსაზღვრა;
- სპორტის დეპარტამენტთან შეთანხმებით შეადგინოს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა და მათი წილობრივი მონაწილეობით ჩაატაროს ეს ღონისძიებები;
- ფედერაციის ქონების და ფულადი სახსრების მართვა;
- ფედერაციის სახელით უძრავი ქონების შეძენა და გასხვისება;
- კონტროლის განხორციელება ფედერაციის ბუღალტრულ და საფინანსო ანგარიშებზე;
- საპრემიო ფონდის დამტკიცება, საპრემიო თანხების განსაზღვრა;
- სესხების და კრედიტების აღება;
- ფედერაციის ქონებისა და აქტივების განკარგვა;
- ფედერაციის საპატიო წევრად მიღება;
- ნაკრებების მთავარი მწვრთნელების დანიშვნა და განთავისუფლება;
- მწვრთნელთა საბჭოს და მსაჯთა კოლეგიების შექმნა;

12.5. პრეზიდიუმი ყოველი წლის ბოლოს განიხილავს ფედერაციის ფინანსური მდგომარეობას და ადგენს სავარაუდო ბიუჯეტს მომავალი წლისათვის.

12.6. პრეზიდიუმი ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს წევრთა საერთო კრებას ჩატარებული მუშაობის შესახებ.

12.7. ფედერაციის პრეზიდიუმის წევრები არიან:

- ლაშა ჯაიანი.

დაბადებული: 22.11.1966 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ატენის ქ. 20, ბ. 56.
პირადი № 01008017004.

- ზაზა ჩიტრეკაშვილი.

დაბადებული: 04.02.1979 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ფანასკერტელის ქ. კორპ. 6, ბ. 52.
პირადი № 01026002285.

- ბაქარ გაჩეჩილაძე.

დაბადებული: 19.10.1966 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიღმის მას. III კვარტ. კორპ. 5, ბ. 44.
პირადი № 01006004910.

- შალვა გაჩეჩილაძე.

დაბადებული: 21.12.1987 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. 47.
პირადი № 01017025215.

- კახაბერ კიკიანი.
დაბადებული: 25.04.1967 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ა. ჩიქობავას შეს. №7.
პირადი № 01001012317.
- გელა ტატანაშვილი.
დაბადებული: 07.04.1965 კასპი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვარკეთილის მას. VI კვარტ. კორპ. 13, ბ. 1.
პირადი № 01027013753.
- ოთარ ნარმანია.
დაბადებული: 10.10.1958 ოჩამჩირე.
მისამართი: საქართველო, ოჩამჩირე, ლაბახუას ქ. 73.
მცხოვრები: საქართველო, თბილისი, ანტონოვსკაიას ქ. 10.
პირადი № 62005012265.
- გიორგი კურკუმული.
დაბადებული: 29.08.1967 ჭიათურა.
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქ. 67ა, ბ. 31.
პირადი № 01024016942.
- გიორგი აფციაური.
დაბადებული: 08.06.1985 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ილურიძის ქ. 81.
პირადი № 01019021587.

## 13. ფედერაციის პრეზიდენტი

13.1. ფედერაციის პრეზიდენტი არის ფედერაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

13.2. ფედერაციის პრეზიდენტი აირჩევა წევრთა საერთო კრების მიერ, 4 წლის ვადით.

13.2.1. პრეზიდენტობის კანდიდატებმა განცხადებით უნდა მიმართონ ფედერაციის პრეზიდიუმს პრეზიდენტის არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე. აღნიშნული ვადის გასვლის შემთხვევაში განცხადებები აღარ მიიღება.

13.3. ფედერაციის პრეზიდენტი:
- წარმოადგენს ფედერაციას ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში;
- ხელს აწერს ფედერაციის სახელით დადებულ ხელშეკრულებებს, გარიგებებს, კონტრაქტებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში;
- პრეზიდიუმთან შეთანხმებით განკარგავს ფედერაციის ქონებასა და სახსრებს;
- გამოსცემს ბრძანებას, ხელს აწერს ფედერაციის საფინანსო და სხვა დოკუმენტებს;
- ახორციელებს ფედერაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე;
- უძღვება წევრთა საერთო კრებას და ხელმძღვანელობს პრეზიდიუმის სხდომებს;
- ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.

13.4. პრეზიდენტის დათხოვნის, მივლინების ან ავადმყოფობის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ასრულებს მინდობილი პირი.

13.5. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობის, უფლებების გადამეტების ან ფედერაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ საგანგებოდ მოწვეულ წევრთა საერთო კრებას.

13.6. ფედერაციის პრეზიდენტია:
- ლაშა ჯაიანი.
დაბადებული: 22.11.1966 თბილისი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ატენის ქ. 20, ბ. 56.
პირადი № 01008017004.

## 14. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მდივანი

14.1. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მდივანი ინიშნებიან ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ პრეზიდენტის წარდგინებით.

## 15. ფედერაციის ქონება და სახსრები

15.1. ფედერაციის ქონება ყალიბდება მისი შექმნისას, წევრების საწევრო შესატანებით, შემოწირულობებით და ამ წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახსრებით.

15.2. ფედერაციის სახსრების ფორმირების წყაროებს წარმოადგენს:

15.2.1. სახელმწიფო დოტაცია;

15.2.2. საქველმოქმედო შემოწირულობანი, მათ შორის გრანტები;

15.2.3. შემოსავალი შეჯიბრების ჩატარებიდან, რეკლამიდან, ტრანსფერიდან;

15.2.4. შემოსავლები ფედერაციის ეკონომიკური საქმიანობიდან.

15.2. სხვა შემოსავლები, რომელთა მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

15.3. ფედერაცია თავის სახსრებს დამოუკიდებლად განაგებს. სახსრების ხარჯვა დასაშვებია, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით. ფედერაციის სახსრების გამოყენების ძირითადი მიმართულებებია:

15.3.1. ფედერაციის ამოცანებისა და მიზნების უზრუნველყოფა.

15.3.2. ფედერაციის შტატიანი თანამშრომელბისა და მოწვეული სპეციალისტების, ფედერაციის მმართველი ორგანოების წევრების ფულადი ანაზღაურება.

15.4. ფედერაციის საქმიანობით მიღებული მოგება ხმარდება მხოლოდ ფედერაციის მიზნებს. დაუშვებელია მოგების განაწილება წევრთა შორის.

## 16. პერსონალი

16.1. ფედერაციის პერსონალი კომპლექტდება საქართველოს მოქალაქეებისაგან (აუცილებელ შემთხვევაში უცხო ქვეყნების ანდა მოქალაქეობის არმქონე პირებისაგან) პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

## 17. ფედერაციის კომისიები

17.1. ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ფედერაციაში შეიძლება შეიქმნას შემდეგი კომისიები:

17.1.1. საშეჯიბრო - ტექნიკური, საატესტაციო;

17.1.2. მწვრთნელთა საბჭო;

17.1.3. სარევიზიო;

17.1.4. ვეტერან სპორტსმენთა;

17.2. კომისიების შემადგენლობას განსაზღვრავს პრეზიდიუმი.

17.3. კომისიებს საქმიანობის წესი და მათი ამოცანები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს პრეზიდიუმი პრეზიდენტის წარდგინებით

17.4. კომისიების მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი.

## 18. მწვრთნელთა საბჭო

18.1. მწვრთნელთა საბჭო ახორციელებს საწვრთნო - მეთოდურ საქმიანობას ნაკრებ გუნდებთან.

18.2. ახორციელებს კონტროლს საწვრთნო - მეთოდურ საქმიანობას საქართველოს ნაკრებ გუნდებთან.

18.3. ახორციელებს კონტროლს საწვრთნო პროცესზე და უზრუნველყოფს სპორტსმენთა წარმატებით გამოსვლას საერთაშორისო შეჯიბრებაზე.

## 19. ცვლილებების შეტანა

19.1. ფედერაციის წესდებაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება მხოლოდ წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

## 20. ფედერაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

20.1. ფედერაციის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

20.2. ფედერაციის ლიკვიდაცია ხდება:

ა) ფედერაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით.

20.3. ლიკვიდაციის შედეგად ფედერაციის დარჩენილი ქონება განაწილდება ფედერაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

20.4. ფედერაციის ლიკვიდაცია დასრულებულად ითვლება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მისი სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

ფედერაციის დამფუძნებლები და პრეზიდიუმის წევრები

ლაშა ჯაიანი ______________________ ლაშა ჯაიანი.

ზაზა ჩიტრეკაშვილი ______________________ ზაზა ჩიტრეკაშვილი.

გელა ტატანაშვილი ______________________ გელა ტატანაშვილი.

ფედერაციის პრეზიდიუმის წევრები

ბაქარ გაჩეჩილაძე ______________________ ბაქარ გაჩეჩილაძე.

შალვა გაჩეჩილაძე ______________________ შალვა გაჩეჩილაძე.

კახაბერ კაკაიანი ______________________ კახაბერ კაკაიანი.

ოთარ ნარმანია — ოთარ ნარმანია.

გიორგი კურკუმული — გიორგი კურკუმული.

გიორგი აფციაური — გიორგი აფციაური.

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N130136456 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 16.02.2013 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ქეთევან გრიგოლია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 593 127322 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 69957481405413 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას ცამეტი წლის თექვსმეტ თებერვალს მე, ქეთევან გრიგოლიას, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე მომმართეს: ლაშა ჯაიანმა, ზაზა ჩიტრეკაშვილმა, გელა ტატანაშვილმა, ბაქარ გაჩეჩილაძემ, შალვა გაჩეჩილაძემ, კახაბერ კიკიანმა, ოთარ ნარმანიამ, გიორგი კურკუმულმა და გიორგი აფციაურმა, რომლებმაც წარმომიდგინეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაცია“-ს წესდება (ახალი რედაქცია) და სურდათ წესდებაზე ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. მე მათ განვუმარტე, რომ არ ვამოწმებ უფლებამოსილებას, წესდების შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ქეთევან გრიგოლია არ ვიღებ პასუხისმგებლობას, მხოლოდ ვამოწმებ წესდებაზე ხელმოწერებს.

მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართეს: ლაშა ჯაიანმა (დაბ. 22.11.1966წ. დაბადების ადგილი: თბილისი, პირადობის მოწმობის №ა0228069, პირ. №01008017004, გაც. 17.08.1998წ. თბილისის ვაკის რ/ნის შს სამმართველოს მიერ, მცხ. თბილისი, ატენის ქ. 20. ბინა 56), ზაზა ჩიტრეკაშვილმა (დაბ. 04.02.1979წ. თბილისში, პირადობის მოწმობის №11IA08606, პირადი №01026002285, გაც. 18.08.2011წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები ქ. თბილისი, ზ. ფანასკერტელის ქ. №6, ბინა №52), გელა ტატანაშვილმა (დაბ. 07.04.1965წ. დაბადების ადგილი: კასპი, პირ. მოწმობის №ბ0163179, პირადი №01027013753, გაცემული 20.05.1997წ. თბილისის სამგორის რ-ნის შს სამმართველოს მიერ. მცხ. თბილისი, ვარკეთილის მას. 6 კვ, კორპ. 13, ბინა 1), ბაქარ გაჩეჩილაძემ (დაბ. 19.10.1966წ. თბილისში, პირადობის მოწმობის №ა0137419, პირადი №01006004910, გაც. 15.05.1997წ. თბილისი, დიდუბის რ-ნის შს I-ქვეგანყოფილების მიერ, მცხოვრები ქ. თბილისი, დიღმის მასივი, 3 კვ, კორპ. №5, ბინა №44), შალვა გაჩეჩილაძემ (დაბ. 21.12.1987წ. პირადი №01017025215, მართვის მოწმობა: AH № 2932840, გაცემული 09.10.2010წ. საქართველოს შსს მიერ. პირადი განცხადებით მცხ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. №47), კახაბერ კიკიანმა (დაბ. 25.04.1967წ. დაბადების ადგილი: თბილისი, პასპორტი 09AL57613, პირ. №01001012317, გაც. 26.06.2009წ იუსტიციის სამინმიროს /დიდუბე-ჩუღურეთი/ მიერ, პირადი განცხ. მცხოვრები თბილისი, მირცხულავას №2, ბინა №38), ოთარ ნარმანიამ (დაბ. 10.10.1958წ. დაბადების ადგილი: ოჩამჩირე, პირადობის მოწმობის №ე0087475, პირ. №62005012265, გაც. 08.03.2000წ. ოჩამჩირის შსგ-ს მიერ, რეგისტრირებული: ქ. ოჩამჩირე, ლაბახუას ქ. №73, პირადი განცხადებით ამჟამად მცხ. თბილისი, ანტონოვსკაიას ქ. №10), გიორგი კურკუმულმა (დაბ. 29.08.1967წ. დაბადების ადგილი: ჭიათურა, პირ. მოწმობის №ბ1120990, პირადი №01024016942, გაცემული 27.12.2007წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ. მცხ. თბილისი, საბურთალოს ქ. №67ა, ბინა 31) და გიორგი აფციაურმა (დაბ. 08.06.1985წ. დაბადების ადგილი: თბილისი, პირადობის მოწმობის №დ1215412, პირ. №01019021587, გაც. 06.11.2008წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის სამსახურის მიერ, მცხ. თბილისი, ილურიძის ქ. №81)

მე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ლაშა ჯაიანმა, ზაზა ჩიტრეკაშვილმა, გელა ტატანაშვილმა, ბაქარ გაჩეჩილაძემ, შალვა გაჩეჩილაძემ, კახაბერ კიკიანმა, ოთარ ნარმანიამ, გიორგი კურკუმულმა და გიორგი აფციაურმა წაიკითხეს და განაცხადეს, რომ წესდება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაცია“-ს წესდება (ახალი რედაქცია)-ზე.

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ მუხლი 31.3, 39.1 და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 31.8-ის თანახმად „თუ ხელმომწერი ხელს აწერს კერძო აქტის რამდენიმე გვერდზე, ხელმოწერის დამოწმებისათვის საზღაური გამოითვლება ხელმოწერათა რაოდენობის შესაბამისად“ – ხუთი ეგზემპლიარი, წესდების ერთ ეგზემპლიარზე ხელმოწერები შესრულებულია ყველა გვერდზე, სულ სამოცდათორმეტი ხელმოწერა, ას ორმოცდაოთხი ლარი, წესდების ოთხ ეგზემპლიარზე ხელმოწერები შესრულებულია ბოლო გვერდზე, სულ ოცდათექვსმეტი ხელმოწერა, სამოცდათორმეტი ლარი, სულ დამოწმებულია ას რვა ხელმოწერა, ორას თექვსმეტი ლარი + სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური ორი ლარი, სულ ორას თვრამეტი ლარი.

ნოტარიუსი: ______________________ ქეთევან გრიგოლია